

საქართველო

სურათებიანი ლამაზი
გაზეთის № 271 ლამაზების № 48

კვირა, 4 ქრისტეშობისთჳა, 1916 წ.

ქართველი ტიპები


ნახატი გ. ხმალიძისა.



მესხ მართლმადიდებელი



მესხი ბერი.



ხეობელი გლეხი.

ღამით გლოჯველი

I.

ხომ ჰხედავთ არწივს, რომ დაფრინავს მალი და სწრაფი, სადაც მოქანცულ მლიმარებით სჩანს ღამის მცველი? აი, იქ არის ჩემი ბინა—ბნელი გვირაბი და იქ ვიქარებ კმუნვით ნისლეზს ღამით მლოცველი. იქ მარტოდ ვ'უუვი... მეგობრად მყავს სევდა და ფიქრი, გრძნობასთან მჭიდროდ ჩახლართული, შემოვლებული, ხან მათთან ერთად უკვდავების მხარეში მივქრი, ხან განკიცხული მათგან ვზივარ დაობლებული... და როს ვარსკვლავნი გარდაშლიან ცად სინარნარეს—ღამის სჩუმეს ვიკავ გულში და ვკოცნი მთვარეს...

II.

აი ღამეა... ფიქრთ აღმშლელი ღამეა ბნელი, ზეცად ვარსკვლავნი საუბრობენ, არა ჰქრებიან; მე კი ფიქრები მეხვევიან გამოუცვნი და შავ სიკვდილით უკვდავებას მემუქრებიან... ვდგევარ მარტოკა მთას მწვერვალზე გულ-ხელ დაკრებით, ვუმზერ სიჩუმეს, ღამის სიზმარს, ჩაფიქრებულს; თავს მეფადა ვსთვლი... მთავრის შუქზე ირხვეა შვებით, ფიქრთ სამლ-ივლო ყვავილთ მდელო აკოკრებული... ვდგევარ მწვერვალზე და ოცნებით ვნავარდობ ცაზე; მთვარეს უცინი და ვფიქრობ კი სხვა ვილაცაზე:—

1.

„შენს ბრწყინვალებას მუხლ-მოხრილი ვლოცავ დღე-ღამე, თავს ვიხრი მღაბლად, ვით ლერწამი ქარის წინაშე, ჰაბუკს გულს მიღრღნის შენზედ ფიქრით ფიქთა ტალღა მე და მთლად ვიღვარებ, ვით ზვირთება ზღვად მოთამაშე. შენს სახეს მუდამ მოკრძალებით ვუახლოვდებ, ჩემი ღალადით შენ გადრეებ კმუნვა აღშლილი; მაშინ მიწიერს ყოველივეს ფიქრით ვშორდები, მხოლოდ შენს სახელს ვიმეორებ: —„ეჰ, ლილი!.. ლილი!“ შენს ჩვენებაში ვერა ვპოვე, ღვთაებავ, წუნი, და შენ მოგიძღვენ, ვით დავითმა, ჩემი ფსალმუნი...

2.

„ღლისით ღამე ხარ და ღამით კი დღის ბრწყინვალეობა, წყვილადს ანათებს სახის შუქი დღის დამჩრდილავე; ლაქვარდს ზაგონებს განთიადის ცისფერ-თვალეობა, შუბლზედ ბედ-იღბლის წამკითხველი, გულთა-მხილავი. დახვალ, ვი' სიო გაზაფხულის—ყვავილთ მდელოზე, სდგეხარ, ვით ვარდი დღის ჟამზე თვალ-ცრემლიანი; ვნება გიყვავის ფიქალ მკერდთა სამლოცველოზე, ისე ჰსაუბრობ, ვით ნიავი სუბუქ-ფრთიანი... მყრნვარის მთაზე მდგმოიარე სატრფოს მანდ ელი, რომ მანდ ჩაიქროთ სიქაბუკის წმინდა კანდელი...

3.

„დავალ... დავეძებ შენს მშვენებას სახე მიხდილი; გიწვევ, მოგიხმობ მღელვარებით გულ-დაისრული; მაგრამ შენ დაჰქრი, უხილავო, ვითა აჩრდილი... მე კი ჩამომჩქეუს უიმედოთ თვალთ ცრემლთა რული. ერთხელ ვიხილე უცაბედად და ისიც ღამით: გარს ბრწყინვალეობად იფრქვეოდა სხივი თვალისა; გული აღვივსე დანახვითვე შვებით, სიამით და აღვიყვავე ყვავალებით მომავალისა, რომ გასაფრენად შეარხიე ფრთა სუსტი, ნელი და გულშივ ჩავკალ შვება ჩემი გაუფურჩქნელი...

4.

...და ვიგრძენ წყენა... მწარ-სიციცხლის ვნახე სამარე, შიგ ჩავსვენე ფიქრთა ნისლი აჯანყებული; გულ-დაისრულმა ყოფნის სევდა ვერ შევიწყნარე და დავრჩი ობლად ყოვლისაგან დავიწყებული. მაშინ კი მხოლოდ უკანასკნელ ღონეს მივპართე, წყნარი ღალადით თვით შემოქმედს ღოცვა შევსთხოვე: —„ღმერთო ძლიერო, კეშპარიტი გზა წარმიმართე!..“ ვსთქვი და ფიქრები შევასვენე... ფიქრნი დავსტოვე. მოვიხმე რწმენა აუხსნელი, გამოუცვნი და ამ რწმენაში ვცან ნუგეში უკანასკნელი...

მიქელ დიანელი.

ლოლა

(ეპიკი)

I

...ჰო-და, გულდაწყვეტილი წამოვედი, ჩემო კარგო, რადგან უკანასკნელად ვერ შევხედე შენს ცოცხალ სახეს, უკანასკნელად ვერ ავენთე ხატის წინ შორეული-ღვთაებრივი ლოცვა-ოცნებით...

ყველას გამოვეთხოვე. ყველა გადაეკოცნე და ვგრძნობდი, ტკივილად ვგრძნობდი, რომ მაკლდა ერთი გამოთხოვება, ერთი ხელის ჩამორთმევა, ერთი—უკანასკნელი—თვალების შემართვა-შესწორება, და ეს ერთი—ყველაზე დიდი სანუგეშო, უმთავრესი...

დაიძრა ეტლი და ნელ-ნელა ვტოვებდი სახლს...

მე ვუტკიერდი ეტლიდან სახლს, ლობეს, იქ მდგომ ჩვენებს და მტკიოდა—რომ ყველა ამას აკლდა უმთავრესი, აკლდა შინაარსი... აკლდი შენ...

რიგ-რიგად ჩამწკრივებული ხეები, ლობები, სახლები, რომლებსაც სიჩქარით ვტოვებდი უკან, მიორკეცებდნენ ამ შეგნებას, ნაწილ-ნაწილად მაგლეჯდნენ სულის სიმშვიდეს და მოსახვედში, როცა მივხედე ჩვენი ქუჩის ამტვერებულ სიგარძეს—საშინელი სიძლიერით ვიგრძენი დაშორება და. სევდა შემომავწვა—ლოლა, ლოლა!

ცივი ქვეყანაა რუსეთი—სადაც მე ეხლა მივდივარ, ჩემო კარგო! როდის დავბრუნდები ისევ აქეთ? როდის გნახავ კიდევ? როდის—ჩემო კარგო!

ჩავჯექი მატარებელში და გავსტკირე ფანჯრიდან სამშობლოს წალკოტს... ღმერთო ჩემო—ყველაფერი ზურმუხტად იყო აქარგული... ღიმილით მესალმებოდა—მაგრამ, მე, მე არაფერი მესმოდა: ჩავსტკიროდი ჩემს ქვეყანას ჩემს ქვეყანაში:

გხედავ: ვაშლის ძირას, სკამზე დაბრძანებული მკედ ლაა, ჯადოსნური ღიმილით მოუბარო, ვით მოლანდებდა—შენ, ლოლა! ოთახში, ლაპასთან, წიგნი ხელში, დაფიქრებული, შუბლზე რომ თმები ჩამოგშლია—შენ. ლოლა! დარბაზში, სავარძელში ჩამჯდარი მქრალ სინათლესთან, გიტარით ხელში მომღერალი...

უკაბედი ფრთხილი გაღივება, ნერვებში ამოტარებული ხმის სიმფონია—ვით ოქრომკედის გვარიშტი, და, ბროლის, დათლილი თითების სიმებზე რხევა—ვით ციასრტყელას ფერთა თამაში... წანაბული ზღვის ფერი თვალები—აჰ, ჩემო სამშობლოვ, ნუთუ ბარბაროსად არ ჩაითვლება კაცი, ვინც არ იცნობს შენს სიღრმე-სიმშვენიერეს?..

ჰო—მიჰქროდა მატარებელი. მიჰქონდა ათასი ამბავი. მიჰყავდა ათასი მგზავრი და არავინ კი არ იცოდა—რას ვფიქრობდი მე, როცა ვუტკიერდი ტყეს, რა მიხაროდა—როცა ვმღეროდი, რა მამბდნიერებდა—როცა ვიღიმებოდი... ფანჯრიდან გავსტკიეროდი გამბრენ ტყეებს—ბაღებს, სოფლებს, ჩამაჯალ მხეს, და ვახარებდი მათ ჩემი ოცნების სიღამაზეს, ჩემი ვარსკვლავის შორეულ კაშკაშას. ლოკო-მოტივი კი უეცრად დაიკვირებდა, თითქოს მამხნევებო, და ვაგონების ბორბლები რითმით რიხრიხებდნენ, თითქოს გამოიძახიანო: ლოლა! ლოლა! ლოლა! ლოლა!



ვასო და ტასო აბაშიძენი.

ჩემო კარგო—ხომ გინახავს რა მხიბლავია ზღვა კოლხიდაში? და აი, მე ვიყავი გაშვართული ზღვის ნაპირში ფერად კენჭებზე... მზე ჩადიოდა. და უკანასკნელი სხივებით მითვლიდა საბედისწერო ლოცვას.. მეთხოვე-ბოდა... მე კი ვიწვიო თავდავ-წყებით ფერად კენჭებზე, გრძლად გაშვართული—სიწყნარე იყო. ღრუბლების სიწყნარე ირგვლივ, და მე მაინც ვერ ვისვენებდი, გულში მაინც რაღაც იკბინებოდა, იბრძოდა სევდა, და ტალღები, თითქოს მათაც იციანო ჩემი ფიქრების სინარჩარე, ნელ-ნელა ეხეთქებოდნენ ნაპირს, აფართოებდნენ ქაფის რკოლებს, და ეცემოდნენ ისეთის ხმით, თითქოს იძახიანო: ლოლააა! ლოლააა...

შრიალებდა ზოპარულად ლამაზი, გრძელი, სწორ-ალღიანი ზღვისპირის ბაღი, რომლის დაბურულ სიმწვანეში ძლივს ატანს მზის სხივები და ვხედავდი, რომ ამ სიმშვენიერეს აკლდა გვირგვინი, და მე, ჩემო კარგო, გავიღიმე იმიტომ, რომ ვიცოდი სად იმყოფებოდა იგი გვირგვინი, მიმიხვდა ბინდი, უცბად დაიძრა, ჩამსწვდა გულის სიღრმეში, მომტაცა საიდუმლო და გაენდო ბაღს... აბიბინდნენ, აბრი-ალდნენ ბუჩქები, ნაძვები, ტრიფები, ქანდრები და ერთხმად დაიშრიალეს: — ლ-ო-ო-ლ-ა! ლო-ო-ო-ლა-ა!..

აი მე—რუსეთში ვარ—ჩემო კარგო... ბევრს ვმუშაობ—შენით გამხნე-ვებულნი, ბევრს ვგრძნობ შენით ანთე-ბული... მხოლოდ ჩემი მარტოობა აქ ჩემი მეგობარი და ერთად-ერთი მფარველი ჩემი უღრმესი ზრახვებისა...

მე აქ უცხო ვარ... მე არ მესმის ამათი სიხარულის მუსიკა და მათთვის სულ უცხო და გაუგებარია ჩემი აღმა-ფრენა, ხალისი და ჩაქანდაკებული იმედები...

უჰ, როგორ ცივა აქა—ჩემო კარგო, როგორ ცივა! ამ ხალხის სული და გულიც ცივია და ტლანქი! მათ არ გაეგებათ ჩემი ენა! ჩემი სიმღერა! მე ვდგევარ შენი სურათის წინაშე და ლოცვით სავსეს მიპყრობს უტეხი სევ-

და... ჩავტკირი სახეში და ვამბობ: მიყვარხარ, სულის სწორო, ფიქრის ქანდაკება—მიყვარხარ: და გრძნებით და იმედით ვარ მაშინ სავსე და უნებურად მაგონდება მათი უხასიათო, უნებო, უსიცოცხლო „ლინაი“... უჰ, როგორ ვაყინები ამ ცივ ქვეყანაში, ცივ ხალხში, მარტოობით... ერთად-ერთი ნუგეში მხოლოდ შენი სახეა და... ახ, ნეტავი როდის მომესწრება გაზაფხული, მივატოვო აქაობა, გამოვქანდე და ჩვენს მიწაზე, ჩვენი მთის ნიაფი რომ ქართულად იტყვის სასიყვარულო ძილის პირებს, დამათრობს ანკი ზღაპრებით, დამის ღუმელში მაგრად ჩაგიკრა ცეცხლის მკერდში და ამოგტაცო სანუგეშო „მიყვარხარ“ ჩვენებურად... შენ მაშინ ნება მიხდილი იქნები და მორჩილი, როგორც სათნოება, კეთილი და ნაზი და კიდევ განიმეორებ ნიაფსავით „მიყვარხარ“... ახ, ნეტავი როდის მომესწრება გაზაფხული...

ასე სწერდა რუსეთიდან ნიკო...

„გელი! გელი! გიტარას სიმები დაფხენი და შევიწახე, არსად არ დაუდივარ: არ მინდა უშენოდ. არც ვმღერო: ჩემს სიმღერას შენთვის ვინახავ. შენს წერილებს ვკითხულობ ყოველდღე და ვფიქრობ შენზე... ახ, მართლაც, როდის მოვა გაზაფხული? მე ვამბობ ჩემი გაზაფხული მეთქი. ნეტავი შენც თუ ისე გენატრები—როგორც მე? არა, ნეტავი ეს მაკოდინა—შენც თუ ისე გენატრები როგორც მე? ლიზამ მითხრა—ნუ ენდობი მამაკაცებს და ნურც შენს ნიკოსო! ის იქ რუსის ქალებს ეტრფიალება და შენ მხოლოდ მითომ უნდინარ, როცა აქ ჩამოვა არ მოსწყინდესო“... უწინაშე დღე დამლევა!.. მე ლიზას ავემალე და ეხლა დაუბრებელი ვართ. არ კი ვამტყუვნებ ლიზას: ის იმსხვერპლა გაიძვერა აპალონმა და იმედ-მოშხამულა! შემოგველე მე! მართალი მომწერე—ხშირად გესიზმრები თუ არა? გიყვარვარ? ხომ გიყვარვარ? მართლა რუსის ქალებს ხომ არ ეტრფი? არა, არა—ეს ტყუილია! და მერე ვის ეყვარები ისე, რო-

გორც მე—ჩემო არწივო, შენ არ ამბობდი ქართველი ქალის სიყვარული უმაღლესად ღრმა და სუბტილურია... არ მილაღებ, ჰა? ნიკო! ვხუმრობ—არ გეწყინოს! შენ როგორ იკადრებ მოტყუებას! ვკითხულობ შენს ნაჩუქარს ყაზბეგს მგონი მეოცეჯერ... მართალია, ყაზბეგი ობოლი სიყვარულის მკოსანიო—შენ რო ამბობდი... როდის მოხვალ, როდის ნიკო! შემოგველე მე! გელი! გელი! შენი ლოლა“...

ნიკო წაიკითხავდა თურმე წერილს და სიხარულის ცემლები სდიოდა... მოენატრებოდა მისი ქვეყანა... მისი ლოლა... დედა... მამა... და არწივი ანხნაკები, ხალ მხეს რომ სჭედდენ სამშობლოში... თავ განწირულად რომ იბრძოდნენ... ახ, რა დრო იყო—თქვენი ჭირიმეთ! ანგარებას რომ ასამარებდენ!

თ. იანელი.

ზ ა ვ ი

(თარგმანი)

მოეწადინათ ადამიანებს პირის-პირ ნახვა ზავისა, რომელსაც ყველა აქებდა და რომლის სიკეთით სარგებლობდნენ. გაუდგნენ გზას მის საძებნელად.

დიდხანს ვილოდნენ ისინი. ბოლოს, ერთ სახლს წააწყდნენ. სახლს ახლო ერთი გმირი ისვენებდა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული. მას ამშვენებდა: ფაოი, თოფი, ხმალი—ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც რომ საჭიროა ომისათვის. ძის საჯდომს შეადგენდა ასობით ზარბაზნი, ფეხები კი მუზარაღისათვის მიეზღინა.

მოგზაურნი შიშმა აიტანა. უნდოდათ შეუშინებლად დაეღწიათ თავი, მაგრამ გმირმა შენიშნა და მიიძახა: — საით?!

პასუხის გაცემას ვერავინ ჰბედავდა. გმირი გაგულსდა და მგზავრთ კითხვა უფრო სასტუკის კილოთი გახუმეროდა.

— ეს ხომ, გარეკნობით „ომია“— იფიქრა ერთმა მგზავრთაგანმა, და უკმაყოფილოა ჩვენის ჯარით! სულ ერთია, სიჩუმე უარესია!

— ჩვენ ზავის საქებნელად ვართ წამოსულნი, მისი ნახვა გვწადია პირის-პირ.

გმირს სახეზე კმაყოფილების ღიმი შეუთამაშდა.

— ეს ძალიან სასიამოვნოა თქვენის მხრივ... აბა დამაცქერდით!

— ჩვენ ვეძებთ ზავს...

— ეს ხომ მე ვარ... ჩვეულებრივად მე მეძახიან ომს, მაგრამ როდესაც ცოტათი ვისვენებ—ადამიანები ზავს მიწოდებენ.

აბესალომ იოსავა.

ჭრალი თავ-შალი

I

ეს მოხდა ერთ ზაფხულის საღამოს, როდესაც ბოშათა ქარავანი დაბანაკდა ქალაქის ახლოს და ბოშა-ქალები მოედნენ ქალაქის ქუჩებს სამკითხოდ, უფრო-კი სამათხოვოდ.

ეს ის ხალხია, რომელთაც არა აქვთ საკუთარი სამშობლო; „სად უღამდებათ იქ უთენდებათ“... მათ არ იციან, რა არის სიხარული, ან მშუხარება; და ყველა ამას ხომ სამშობლო ანიჭებს ადამიანს!

ეს უსაკანო შვილნი ბედ-კრული ხვედრის დაძრწიან ერთი სახელმწი-



მოსკოვის სათვისტომო.
× სათვისტომოს თავმჯდომარე მიხ. ოთარის ძე ზანდუქელი,
მარჯვნივ ექიმი ასათიანი.



† თავადის ასული ეკატერინე ასლანის ასული ვანაძისა,
მოწყალების და. გარდაიცვალა ბრძოლის ველზე.
(1895—1916)

ფოდან მეორეში მშვიდ-მწყურვალნი.
ტიტველ-შიშველნი და არ აშფოთებს
ქვეყნის ჭირ-ვარამი, ისევე, როგორც
არ სწუხდება ქვეყანა მათი ვაებით.
კვდებიან ისევე უმნიშვნელოდ, უსა-
ხელოდ, სადმე ხეტიალში—როგორც
იბადებიან.

ხშირად ხდება, რომ, სადაც დაიბა-
ნაკებენ იქვე ახლო-მახლო სოფლად
შობინადრებში იტაცებენ მცირე-
წლოვანებს და ან ზოლიან თავიანთე-
ბურად, ანუ ჰყიდიან სადმე საამბაზო-
ებში. მათშიც შეამჩნევთ კეთილ-შო-
ბილ სახეებს, რომელთაც ეტყობათ,
რომ სულ სხვა სისხლისანი არიან.

ასეთი იყო ამ მოხეტიალეთა გუნდ-
ში ერთი ახალგაზრდა ქალი, რომელ-
საც უკვე დასჩნეოდა მათი ცხოვრების
ბეჭედი. მის წერწერ ტანს მოხდენი-
ლად ანაშენებდა შავკრემანის სახე,
შავ წარბ-წამწამით, დიდრონი თვა-
ლებით—რომლებსაც მიმოავლებდა
ხოლმე ირგვლივ, თითქოს ჰსურს და-
სწვას და შთანთქმას თავის თვალთა—
ამ კუპრის ზღვათა—უფსკრულში მის-
კენ მზირალ ჰაბუკია გულიო. ოთხად
დაწნული გიშრის თმა, რომელთა
წნულეშიც თან ჩაეწნა ფარა-ფულე-
ბი, მძივები და ფერადი ნაჭრები,—
მზრებზე დაჰყროდა და ახლად აკო-
კრებული ძუძუები ქირმანის კრელ
ქალაღარს კალთებში დაჰპალვოდა.
თავი ამაყად მალა აელო და წინ
მიუძლოდა სხეებს ლამაზი ჯეირანივით.
იგი თითქოს ჰკრძობდა პირველობას
მათში, სხვები შურით შესცქეროდნენ.
მოდრიოდა და მოუხვენარი ნიავი თავ-
შალს კრელ-ფრთება პეკელასავით
უფრიალებდა. „ასტარა“—ასე ეძახ-
დნენ მას, რაც ნიშნავს იმათებურად
მნათობს, ვარსკვლავს.

II

ბინდი ეფინებოდა ქალაქს; თავანთ
კარავებისაკენ ზოგი ბოშა უკვე ბრუნ-
დებოდა... ასტარა კი ერთ მიყრუე-
ბულ ქუჩის ორ-სართულიან სახლის
შესვალთან ქვის კიბეზე იჯდა და
ნადვლიანად დაჰყურებდა ქვა-ფენილს,
თითქოს იქ კითხულობს თავის ბედის-
წერასაო. აქა ჰპოვებდა სულის სიმ-
შვიდეს—რაც საერთო გუნდში არ
შეეძლო; იქ კირკეული ომარი არ
უსვენებდა.—იმის თვალებს ცრემლები
ერეოდა, რაც იშვიათი მოკლენა იყო
მის ცხოვრებაში. ვინ უწყის რა ბოლმა
უტრიალებდა გულში? იქნება მოაგონ-

და თავისი სიყრმე? არაფერ იცოდა;
არ იცოდა თითონაც, მაგრამ გული
მინც უტროდა. ამას-კი ბოშები რა-
ღაც უბედურების იმპასწავებლად
რაცხენ

— ბოშა-ქალი სტირის!..
— ეგენა და ცრემლები?..

ხშირად გაიგონებდით მაყურებელ-
თაგან, რომლებსაც შეემჩნიათ მისი
აქ ყოფნა და დასდევნებოდნენ.

თუმცა ბევრი ეხვეწნენ, რომ ემკი-
თხავნა მათთვის, მაგრამ არავის აქე-
ვდა ყურადღებას. შემდეგ-კი, როდეს-
საც გაახსენდა, რომ „ხელცარიელად“
მისვლასათვის „მამა“ სცემდა—მსწ-
რავლ წამოხტა. სწორედ ამ დროს იქ-
ვე ეტლიც გაჩერდა; საიდანაც გად-
მოვიდა ვიღაც უცნობი.

— არ გინდა, ბატონო, გითხრა შე-
ნი ბედი?—მისვლისთანავე შეიკითხა
ასტარა. უცნობმა ჯერ ყურადღება
არ მიაქცია და შეეტლეს რომ გაუს-
წორდა და შეხედა სახეზე, თავის თვა-
ლებს არ უჯერებდა: „ნუთუ ეს ბოშა
უნდა იყოსო?“—ამბობდა გულში.

— მოდი, მაღი თავისუფალ ბუნე-
ბის შვილო!—უთხრა მან. ხელი დაუ-
ჭირა და აირბინეს კიბეზე. გაალო
ოთახის კარი და შეიყვანა. ანთო
ლიფლიფა, მიუდგა სავარძელი და
დასვა. ასტარა არაფერში ეწინააღმ-
დეგებოდა.

— რა გქვია?—შეეკითხა ვაჟი ცო-
ტა ხნის დუძილის შემდეგ.

- ასტარა.—მოიგო ქალმა.
- სადაური ხარ?
- არ ვიცი.
- საიდან მოდიხარ?
- გზიდან.
- საით მიხვალ?
- გზაზე.
- მაშ არა გაქვს მუდმივი ბინა?

— არა! მაგრამ მსოფლიოს გადაჭი-
მული კალთა თავისი ლამაზი ველ-
მინდვრებით, მთებით და ქალებით
ბინა არ არის?!

-- ბოშა ხარ?

— ეგრე გვეძახიან ჩვენ.

ისე იყო ჰაბუკი ასტარას სხარტი
და გაბედული სიტყვა-პასუხით მოხიბ-
ლული, რომ აღტაცებაში მოდიოდა.
იმას ვერ წარმოედგინა და არცა ჰსურ-
და დაეჯერებინა, რომ ასტარა ბოშა
იყო; და იმისი სიმშვენიერით ხომ
მთლად შეპყრობილი იყო. მიიღვა
ვაჟმა დგამი და მიუჯდა ახლოს.

— აბა მიმიკითხავე.—უთხრა ღიმი-
ლით და გაუწოდა ხელი. ასტარამ
ჩამოართვა და დაიდო ხელის გულზე.
თითქოს ელექტრონი დაჰკარაო, ისე
დაუარა ტანში ჟრუანტელმა ასტარას
ხელის შეხებით.

— ფული ჩამიდე ხელში და გეტყვი
ყველაფერს!

ვაჟმა საჩქაროდ ამოიღო საყვი სა-
ფული და ჩაუდო ხელში. ბოშა ქალმა
დაიწყო ოავისი სიცრუით შეზავებული
მარჩიელობა, მაგრამ ყმაწვილი კაცი
მას არ უსმენდა; მის თავში სულ სხვა
აზრები ტრიალებდა, გული უცნაურად
უცემდა.

— შენ ბედნიერი იქნები...—დაი-
წყო ასტარამ—ერთ ქალს უყვარხარ,
მაგრამ უბრთხლდი... მალე მრავალ
ფულის პატრონი შეიქმნები, მაგრამ...
მაგრამ ოჰ!...—აქ შეჩერდა და სხვა
გვარი გამომეტყველება მიიღო: თვა-
ლები სააშოოდ ნაზად დანაბა და
თავი ხელეშა ჩაუდო.

— მერე, მერე?...—ეკითხებოდა მო-
უთმენლად ვაჟი და თავ-ბრუ ეხეოდა.
ქალმა აიღო თავი მალა, ხელები მა-
გრა დაუჭირა და განაგრძო

— აბა თვალეშა შემომხედე...
ვაჟმა შიხდა და დიდხანს უცქერ-
დნენ ერთმანეთს. ბოლოს ასტარა
მკერდზე მიიყუნდა და ისე უამბობდა
რალაყა თილისმებს... ვაჟმა ვეღარ შე-
იკავა თ ვი, შემოჰხვია ძკლავები და
გაშმაგებთ დაუწყო კოცნა. ასტარა
მინც განაგრძობდა საუბარს...

III

ჰაბუკის აღარაფერი ახსოვდა; ასტა-
რას ტრ-ფაღვალის აღშა იწვოდა.

— შენ მიყარხარ!—ეუბნებოდა ას-
ტარა და ეხეოდა მისუსტებულ ვაჟს;
წუთიერ ბედნიერების ზღაპრული
დღესასწაული სუფივდა.

— ასტარ, საყვარელო ასტარ!...—
ამ სიტყვებს და ამბობდა და თავ-
დავიწყებით ეძლოდა გრძობა-ღელ-
ვილი სიამოვნების ფილის დაკლას.

— აჰ!!!—შეჰკვილა ქალმა ყრუდ
და წამოვარდა სარეცელიდან.

— რა იყო?—შეეკითხა განცვიფ-
რებული ვაჟი, რომელმაც მიჰბაძა მის
მაგალითს და ისიც ადგა.

— დამიგვიანდა. უნდა წავიდე, მო-
მელოდებიან.

- ვინა?
- ჩვენები.
- მე არ გაგიშვებ, ჩემთან დარჩი!
- არ შემიძლიან.
- მიყვარხარ, ასტარ! ჩემ თავზე
უკეთესად შეკინახავ; ნუ წახვალ.
- მამა მკეშს.
- ნუ გეშინიან, ჩემო კარგო, დარჩი!
- ჰა, ჰა, ჰა, ჰა!...—ჩაეცინა ასტა-
რას ნწარედ.—სიცრუეა! შენც ჩქარა
მოგწყინდები და გადაამისვრი შორს,
ისე ვით სხვებმაც!..
- გეფიცობი...
- სუ! სუ!.. რა სულელი ყოფილ-
ხარ?? მე შემიძლიან დაგწვა, დაგდა-
გო, გასიამოვნო, აი, ასე, ასე.—და
მრავალნაირად შეიჩხია ტანი; თავი
კეკლუცად გვერდზე გადიდო, მკლავე-
ბი გაშალა, ციბრუტივით შემოტრი-
აღდა და ვაჟს კისერზე ჩამოეკიდა.

ბაგე-ბაგეს ჩაუკონა, თვალები მღელ-
ვარედ შეათამაშა და მკერდ-გაღელი-
ლი მაგრად ჩაეკრა მოხიბლულს.—აქ
კი არ დავრჩები.

— ასტარა! თუ წახვალ, არ ვიცი
ჩემს თავს რას შევამთხვევ!

— ასე მსწრაფლ შეგიყვარდი? ჩემი
ცხოვრებაც სწორედ მაგითი არის
აღსანიშნავი, რომ ვისაც შევუყვარდე-
ბი, უნდა დაიტანჯოს!..

— შენ არ იცი, თუ რა არის სი-
ყვარული.

— მე არ ვიცი რა არის სიყვარუ-
ლი?!—გაკვირვებული ეკითხებოდა ას-
ტარა.—მე, რომელიც სიცოცხლეს
მთლოდ სიყვარულს ვწირავ?! ვიცი,
ვიცი! ჩემ-სთანა ძლიერი და მხურვა-
ლე სიყვარული არა გგონია სხვამ შეს-
ძლოს. მხოლოდ დროებითია, ისევე,
როგორც ყველაფერი ამ-ქვეყნად. რო-
გორც ჩვენ დავღვართ ერთი მხრი-
დან ძეგორეში და არა გვაქვს მუდმივი
თავშესაფარი, ისედაც ჩემი სიყვარუ-
ლია. ერთის გულიდან მეორეში იბუ-
ღებს და კვლავ ასე, რაც შეიძლება
ბევრგან და მალი-მ.ლ. ესა სთქვა
და მოშორდა. ვაჟი ემუდარებოდა,
ეხვევოდა და მართლაც მზად იყო
ყველაფრისათვის, ოღონდაც მასთან
დარჩენილიყო, მაგრამ ქალი უარზე
იდგა და ძალადობდა გარედ გასასვ-
ლელად.

— გვედრები, ქალო... ყველაფერი
ცვალებადია; გამოიცვლება შენი ყო-
ფა-ცხოვრებაც.

— ისე არის ჩემ ძარღვებში გამ-
ჯდარი ლტოლვილ ადამიანის მოუსვენ-
ნარი ცხოვრება, რომ ძნელია ჩემი
გარდქმნა.

— ასტარ!..

— გამიშვი! თორემ დავიყვირებ,
მთელ ქვეყანას შეგვრი; ჩემთვის სიბ-
რალული არავის უსწავლებია.—ვა-
ჟი მინც არ ემგებოდა და კარებს
აჰყუდებოდა.

— გზა!!!—შეჰყვარა ასტარამ და
ხელში დანა ააპრილა.—თავისუფ-
ლება მიჩვენებინა ყველაფერს!.. ვაჟა
განზე გადახტა ზარ-დაცეკულ. ასტა-
რამ გაალო კარი და მსწრაფლ ჩაი-
ბინა კბე.

IV

— ოჰჰ!!! ვაჰჰ!!!—გაისმა ქვევით
ასტარას გულ-საკლავი კენესა.—ომარ!..
ომ...ომ...არ...—ეს-და სთქვა და განუ-
ტევა სული მკერდ-გაღადრულმა.

იმ დროს, როდესაც ასტარა უცნობ
ვაჟთან სიამოვნებდა, მის საქმროს—
ემკვიან ომარს—არ ეძინა და უთვალ-
თვალედა თუ სად წავიდა მისი
საკლავი, და, აი, როდესაც დიდი ხნის
ლოდინის შემდეგ გამოვიდა ასტარა,
ბოშამ მხოლოდ ხანჯლით გასცა პა-
სუბი მის საქციელს...

ს. ერთაწმინდელი.



პორფირიკი სილიბიძე იხილრეს
ძე დოლონაძე. კრილოვებისაგან
გარდა-ცვალა ოსმალეთ-სტრონტზე
(1896—1916)




დასანი-ნ ვაჟის გასაჭირი.

ეჭვიქალი, ერთი კცი!
ცხვრის ფარა და მათი ვაცუ!


წ. რხ. ნებულთა ცხვრების დღევანდელ სინამდვილიდან.




იყო.




არის.



ამერიკელი. სხვათა ჭირი, ღობეს ჩხირი!
მე ოქრო და სხვას არც ჩირი!




მიგქრდი.




მიმაქროლებენ.



იჯლა.



ჩასვეს.



ღორი.—რა გატირებს, ჩემო კარგო!
მურა.—ჩემი მეუღლის ნეშტს დავსტირი! გუშინ დაჰკლეს,
ძებვები გააკეთეს და აქ ჩამოჰკიდეს...

ოგის წინ.



სანამ ქალალი მქონდა,
გამქონდა, გამომქონდა!

ოგის დროს.



როცა გამომელია,
ქალათით ამომქონდა.